

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №8

კასპი

21.03. 2016 წ.

13.00 სთ.

სხდომას უნდა დასწრებოდა ბიუროს -13 წევრი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა - ილია ზაქარიაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: მ. მერებაშვილი, ზ. ჩიტიშვილი, ი. ქამხაძე, ვ. საჩალელი, ი. კიტრიაშვილი, შ. ბეგლარაშვილი, ხ.თათანაშვილი, ნ. მიდელაშვილი, ო.ჭეიშვილი, ვ. ბეჟიტაშვილი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ი. ზაქარიაძემ ბიუროს წევრებს მოასხენა, რომ შემოსულია დეპუტატების განცხადება, რომლებიც ითხოვენ რიგარეშე საკრებულოს სხდომის ჩატარებას.

დღის წესრიგში იქნება ერთი საკითხი:

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ. რიგარეშე სხდომა ჩანიშნულია ამა წლის 25 მარტს.

საკრებულოს დეპუტატმა ვ. ბეჟიტაშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი დიდი ხანია უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისეთი თავმჯდომარე, რომელიც ითანამშრომლებს დეპუტატებთან, არ იქნება მიკერძოებული. თავმჯდომარეობის კანდიდატმა წარმოგვიდგინოს თუ რა გეგმები აქვს. არჩევნები უნდა იყოს გამჭვირვალე.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ხ. თათანაშვილმა განაცხადა, რომ საკრებულოს დეპუტატების თხოვნით მოწვეულ იქნას რიგარეშე სხდომა. ეს ყოველივე დეპუტატებს ხელ მოწერებით აქვს დადასტურებული. დღეს შეიკრიბა ბიურო, რათა დღის წესრიგი დაამტკიცოს. რამდენი ფრაქციაც არის იმდენი საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ღია კენჭისყრა რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

მომხრე-10 ხმა

წინააღმდეგი- ვ. ბუჩიტაშვილი თავი არავის შეუკავებია

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, აღნიშნული საკითხები განსახილველად გადაეცა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი:



ილია ზაქარიაძე